1 მარტი

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV] ი

2017 ოთხშაბათი

იოვ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 - 6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

დაანებეთ ღმერთს თქვენი შერიგება 2კორ 5,20

ეს „დაანებეთ“ ნიშნავს, რომ უფალი მოქმედებს, კისრულობს, იგია რომ გვიწვდის ამ დიდ ნიჭს: ჩვენ კი გვთხოვს მხოლოდ გამორთმევას. ვუწყით, რომ იესომ უკვე შესწირა თავისი სიცოცხლე, რათა მიტევებულნი თანაზიარებაში დავებრუნებინეთ მასთან და მამასან.

მადლობა, იესო! შენ მთხოვ მხოლოდ თავმდაბლად გაგიხსნა გული, მივიღო შენგან მოტევება, რომელ-საც მიწვდი შენს ეკლესიაში, და გითხრა მადლობა! მსურს ახლავე შევუდგე ამ საქმეს, პასექისაკენ სავალი გზის დასწყისშივე.

2017 ხუთშაბათი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

გიბრძანებ, გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი

რჯლ 30,15

ამგვარი ბრძანების მიღება ყოველ ადამიანს სწადია, შენ გვთხოვ, გიყვარდეთ, უფალო! სიყვარული ხომ თავად შენი სიცოცხლეა, სული წმიდაა! დიდმარხვის ამ გზაზე, იმ ბილიკებზე, რომლებსაც ოდითგან მიგვითითებ – ლოცვა, ყურადღება ძმათა მიმართ, რაიმე მსხვერპლის გაღება, საკუთარი თავისაგან გათავისუფლებაში რომ გვეხმარება –, შევეცდებით კიდევ ერთხელ გავუხსნათ ჩვენი გულის კარი წმიდა სულს: იგი შენს თავს გაგვაცნობს და მხოლოდ შენი შეყვარებაღა შეგვეძლება!

3 მარტი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, წამებულნი (VIს.)

2017 პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

დედის დღე

შენს წინაშე ივლის შენი სიმართლე ეს 58,8

თითქოს უფალი გვეუბნებოდეს: „მოქცევისა და მონანიების ამ ჟამს, მესათნოება შენი მარხვა, მაგრამ მწადია, რომ ის იყოს ჩემდამი და შენი 'ძმებისადმი' სიყვარულის გამოხატულება. ეკლესიის მამები კი გვირჩევენ თავმდაბლობისა და გულის შემუსვრის განწყობას, მუდამ რომ უნდა ახლდეს თან მარხვას. სულო წმიდაო, შენ მოგვანიჭე მოთმინება და სულგრძელობა სინანულის ამ გზაზე!

4 მარტი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

წმ. კაზიმირი, +1484

2017

შაბათი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ ლკ 5,31

იესო, მოდი და მომაშორე ის ღრმა დარწმუნებულობა, რომ საკმარისად კეთილი ვარ, საკმარისად წესრიგში, რომ არ ვიგრძნო თავი წყნარად მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო ჯამში მსხვილ-მსხვილი დანაშაულები არ ჩამიდენია...! მოდი და გადმოაყირავე ჩემი ნელთბილი და თვალთმაქცი ცხოვრება, არა იმისათვის, რომ გული გამიტყდეს, არამედ რათა დაგანებო ჩემი განკურნება! მოდი და აღასრულე ჩემში ის სიახლე, რისი მოცემაც მხოლოდ შენ ძალგიძს!

5 მარტი

დიდმარხვის I კვირადღე, «ა», [I], ი

2017 ვირა

დაბ 2,7-9; 3,1-7; ფს 50; რომ 5,12-19; მთ 4,1-11

თუფალს, შენს ღმერთს სცემ თაყვანს, მხოლოდ მას ემსახურები მთ 4,10

იესო, ეშმაკი გპირდებოდა სამეფოებსა და დიდებას, თუკი თაყვანს სცემდი მას... შენ მაშინ ჩემს მაგივრადაც გაეცი პასუხი: შენი წყალობით მეცა მაქვს ძალა და სიმტკიცე არ დავთანხმდე, არ მივიღო არანაირი სიკეთე მისგან, ვისაც სურს ჩამომაშოროს მამისადმი სასოებასა და სიყვარულით სავსე მორჩილებას. მადლობა, იესო!

6 მარტი

2017 ორშაბათი

ლევ 19,1–2.11–18; ფს 18; მთ 25,31–46

მიკერძოებით არ მოექცე ფუჭოვარს ლევ 19,15

იესომ გაგვაცნო, რომ ღმერთი სიყვარულია. მას უყვარს ყველა, მაგრამ... მასაც აქვს უპირატესობები! სახარებაში ვხედავთ, რომ რასაც იგი ანიჭებს უპირატესობას, პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს გემოვნებას: ჩვენ კვარცხლბეკზე ვაყენებთ დიდებსა და ძლიერებს, სუსტებს კი გვერდით მოვიტოვებთ ხოლმე; ის კი იმათ უახლოვდება ვისაც მეტად სჭირდება პური, ნდობა, სიტყვა, ყურადღება, გამხნევება, მიტევება... გული მიუწევს იქით, სადაც მეტად სჭირდებათ მისი სიყვარული და ჩვენი სიყვარული!

7 მარტი

2017

დიდმარხვის I კვირა [I] ი

მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამ. + 202/203

სამშაბათი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა მთ 6,9

რაოდენი სიტკბოებით შევყავართ იესოს ლოცვაში: „მამაო...“! სალოცავად აუცილებელია ნდობისა და სასოების ეს მზერა; სიტყვაუხვობა არაფრის მაქნისია. ამ სიტყვიდან, ამ მზერიდან მომდინარეობს ყოველივე დანარჩენი: ვხედავ სიყვარულს, ჩემზე რომ გადმოუღვრია და მადლიერებითა და სიხარულით ვპასუხობ.

8 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

წმ. იოანე ღმრთისა, ბერი +1550

2017 ოთხშაბათი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

ქალთა საერთაშორისო დღე

თითოეული მოექცეს
თავისი ფუჭეთფერი გზიდან იონ 3,8

თითოეული ჩვენგანი ვფლობთ საკუთარი უძლურებისა და ცოდვების თუნდაც მცირე ნაწილის შეცნობის მადლს: თავკერძობიდან მომდინარე ქცევები, მამასთან, სიყვარულის ღმერთთან რომ ვერ არიან თანხმობაში. ამ წმიდა ჟამს, იესოსკენ მიპყრობილი მზერით, მისი შემწეობის სასოებით, გვსურს ვიცხოვროთ მხოლოდ მამა ზეციერისაგან მომდინარე სიცოცხლით. ამგვარად შევიცნობთ ნამდვილ სიხარულს.

9 მარტი

2017

დიდმარხვის I კვირა [I] ი

წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, +1440

ხუთშაბათი

ესთ 4,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

ითხოვეთ და მოგეცემათ მთ 7,7

ამ დიდმარხვაში ვეცდებით მეტი ერთგულება და სულგრძელობა გამოვიჩინოთ ლოცვაში; მონაწილეობას მივიღებთ სამრევლოს საქმიანობებში, უპირველეს ყოვლისა კი ევქარისტიაში: როდესაც ერთად ვლოცულობთ ყველაზე გაჭირვებულ ძმათათვის და სრულიად მსოფლიოსათვის, მამა ხარობს ჩვენი სიყვარულით, ისმენს ჩვენს ხმას და შეისმენს ჩვენს ლოცვას.

10 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

2017 პარასკევი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

შეეთანხმდი შენს მოწინააღმდეგეს, ვიდრე გზაში ხარ მასთან ერთად მთ 5,25

თანხმობა, რომლისკენაც მოგვიწოდებს იესო, მშვიდობის დამყარებაა მათთან, ვიზეც ნაწყენი ვართ, ანდა ისეთ გრძნობას განვიცდით, რასაც სიყვარულს ვერ დავარქმევთ. მშვიდობა კი მიტევებით შენდება. მიტევება, რომელსაც გავცემთ, იზიდავს ჩვენზე მამის მიტევებას, როგორც გვასწავლის იესო მამაო ჩვენოს ლოცვაში. ვიაროთ მსუბუქი გულით, მშვიდობით, მიტევებულნი, ნიშნავს ვიაროთ უფრო სწრაფი ნაბიჯით და ნამდვილი სარგებელი მოვუტანოთ მთელ საზოგადოებას.

11 მარტი

2017 შაბათი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები მთ 5,44

გმადლობთ, იესო! შენ, უფალი, გვიბრძანებ ვიცხოვროთ შენი ღვთიური სიცოცხლით, ნამდვილი სიყვარულის სიცოცხლით. შენ მანიჭებ არა მხოლოდ ჩემს ადამიანობას, არამედ ღვთის შვილობასაც, იმ მამის შვილად ყოფნას, ვისაც უყვარს მუდამ, უყვარს ყველა, უყვარს მტრისაგან დამარცხებული ხალხი, ანუ, მტრები!

12 მარტი

დიდმარხვის II კვირადღე, «ა», [II], ი

2017 ვირა

დაბ 12,1-4; ფს 32; 2ტიმ 1,8-10; მთ 17,1-9

ადექით და ნუ გეშინიათ მთ 17,7

სამოთხის დაგემოვნება, სამ მოწაფეს რომ ეღირ-სა, რამაც ისინი შიშით აღავსო, რაკი ნამდვილად ღმერთის წინაშე იგრძნეს თავი, იესოს საჩუქარი იყო; მათთვის, რომლებსაც უნდა დაეძლიათ იესოს ვნებისა და ჯვრის მძიმე, ადამიანურად მიუღებ-ელი წუთი. ეს გამოცდილება განსაცდელის ჟამს საკმარისი არ აღმოჩნდება, რათა იესოს გვერდით დარჩენილიყვნენ, მაგრამ მისი აღდგომის შემდეგ, კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, რომ იგია მათი უფალი, ის მაცხოვარი, რომელსაც უნდა უგდონ ყური და მისდიონ უშიშრად.

13 მარტი

2017 ორშაბათი

დან 9,4–10; ფს 78; ლკ 6,36–38

არ ვისმინეთ ფუფლის ხმა დან 9,10

წმიდა სული კვლავაც გვანიჭებს ამ მადლს, რასაც ჩვენც განვიცდით ხოლმე: იგი ნათელსა ჰფენს ჩვენს პირად თუ ჩვენი საკრებულოს ერთობლივ ცოდვას. თუკი მადლიერებით მივიღებთ ამ ნიჭს, იგი დაურთავს მას კიდევ ერთს: იესოსთან, ჩვენს მაცხოვართან სასოებით მიახლებისა და სიყვარულისა და მიტევების მის მკლავებში განახლების მადლს.

14 2017

მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

სამშაბათი

ეს 1,10.16–20; ფს 49; მთ 23,1–12

თავი ანებეთ ბოროტების ქმნას, ისწავლეთ სიკეთის კეთება ეს 1,16.17

რა არის ბოროტება? რა არის სიკეთე? დღევანდელ
რელატივისტურ კულტურაში აღარ აღიარებენ
ობიექტურ საზომს სიკეთისა და ბოროტების
შესაფასებლად: ყოველივე მიშვებულია ადამიანის
ინსტინქტზე რომელიც მუდამ თავკერძაა. ჩვენ კი
არა გვსურს იმის დავიწყება, რომ ღვთის სიტყვა,
იმ ღმერთისა რომელმაც შეგვქმნა და რომელსაც
ვუყვარვართ, გვაწვდის ნამდვილ საზომს; და
ეს საზომი მისამღერივით გაისმის: *„ის, რაც
ბოროტია უფლის თვალში“*. იგია ჩვენი შემოქმედი,
რომელმაც უწყის თუ რა არის ნამდვილად კარგი
და რა არის ცუდი ჩვენთვის.
ყურს გიგდებ, მამაო და დაგყვები!

ოთხშაბათი

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, თქვენი მსახური იყოს მთ 20,26

ქმარი, რომელიც ყოველ დილით ყავას ახვედრებს თავის ცოლს; ბავშვი, რომელიც თავის საყვარელ სათამაშოს სჩუქმის თავის ძმას; მეეზოვე, რომლიც ყველაზე მიმალულ და მოუხერხებელ კუნჭულებსაც გულიანად ასუფთავებს..., – ყოველივე ეს სიხარულით, იესოსადმი სიყვრულით მორჩილებაში აღსრულებული! –, ის მცირე რამეებია, რაც ღვთის შვილს დიდად გამოაჩენს მამის თვალში, რაკი მისივე სიცოცხლის მონაწილედ აქცევს მას, რომელიცაა სიყვარული და საკუთარი თავის მიძღვნა.

16 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) კათალიკოსი

2017 ხუთშაბათი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

წყეულ არს კაცი, რომელიც კაცზე ამყარებს იმედს იერ 17,5

რამდენჯერ დავრწმუნებულვართ ამ სიტყვების სიმართლეში! როდესაც იმის ნაცვლად რომ მივენდო უფალს მისივე განგებისა და სიბრძნის სასოებით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ვრჩები, ვცხოვრობ მუდმივ „წყევლაში“, ანუ ყოვლად უსარგებლო და განუწყვეტელ მოუსვენრობაში, შფოთში, შიშში, აღელვებაში. *„ნეტარ არს კაცი, რომელიც უფალში ამყარებს იმედს და უფალია მისი სასოება“*, განაგრძობს იერემია. მაშინ, დიახაც რომ ჩემი გული იგემებს მშვიდობასა და აივსება სიხარულით უფლის მოქმედი მარჯვენის დანახვაზე, თავის მოულოდნელობებს რომ ამზადებს!

17 მარტი

2017

დიდმარხვის II კვირა [II] ი

წმ. პატრიციუსი, ეპ., +~461

პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

ცდილობდნენ მის შეპყრობას, მაგრამ დიდძალი ხალხისა ეშინოდათ მთ 21,46

ხალხი გრძნობდა, რომ მასში იყო რაღაც ღვთიური... დღესაც ასეა: იესოს წინაშე არიან ისინი ვინც შეიგრძნობს მის სიყვარულს, გულს უხსნიან მას და ღებულობენ; სამწუხაროდ, არიან ისინიც, ვინც საკუთარ თავკერძობასა და ამპარტავნებაში გაქვავებულნი, კარს უხურავენ მას. მხოლოდ თავმდაბლებს შეუძლიათ გამოართვან მამას ნიჭი!

18 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

წმ. კირილე იერუსალემელი, ეპ. და მოძ. + 386

2017 შაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

მამაო, შევცოდე ზეცის მიმართ
და შენს წინაშე ლკ 15,21

გასაოცარია წმიდა სული! რაც უფრო ნაკლებად მოელი, მაშინაა რომ გულს გაგინათებს მისი ნათელი, მისი სიტყვა, მისი წყურვილი... ამ ესოდენ ცნობილი და მუდამ მშვენიერი იგავის თავზეხელაღებულ შვილს ერთბაშად მოანატრებს მამას. მწამს, სულო წმიდაო, რომ შენ მოქმედებ დაფარულად, ნამდვილად, ძლიერად! შევეცდები დღეს შენში ვიდგე, სიყვარულის მონაბერო, რათა დავტკბე შენი ძვირფასი ძღვენებით.

19 მარტი

დიდმარხვის III კვირადღე, «ა», [III], ი

2017 ვირა

გამ 17,3–7; ფს 94; რომ 5,1–2.5–8; იო 4,5–42

ჩემი საზრდოა ვაკეთო ჩემი მომავლინებლის ნება იო 4,34

საჭმელი გვკვებავს, ძალას გვაძლევს, გვანაყრებს, გვახარებს; საკვები აუცილებელია მაშინაც, როცა არ გვინდა ან არ მოგვწონს ის. იესოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, აუცილებელია მამის ნების აღსრულება, ვინაიდან ესაა მისი სიცოცხლის აზრი, მისი სიხარული. ეს სწადია მას ყოველივეზე მეტად, მაშინაც, როცა უწყის, რომ საკუთარი თავის სრულ შეწირვად დაუჯდება ეს. ეს საზრდო, ვნებისა და სიკვდილის ჟამს რომ ასე გამწარდა, თავის თავში ატარებს ჩვენ ცოდვილთადმი მამის სიყვარულის მთელ სიტკბოებას.

20 მარტი

2017 ორშაბათი

წმ. იოსები,
ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე დდ, [ს], თ

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22; მთ 1,16.18-21.24 (ან, ლკ 2,41-51)

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ერწმუნა სასოებით *რომ 4,18*

როგორც აბრაამისა და ისრაელის ყველა მართლი-
სათვის, წმიდა იოსებისთვისაც რწმენა ცხოვრებისე-
ული გამოცდილებაა. მართლაც, იგი თავის ნაბიჯებს
დგამს, გადაწყვეტილებებს ღებულობს და სისრუ-
ლეში მოჰყავს თავისი არჩევანი უფალთან მჭიდრო
კავშირში, მისი სიტყვისადმი მორჩილებით.
წმიდაო იოსებ, ეკლესიის მფარველო, მდუმარე ნი-
მუშო და ძლიერო ქომაგო ყოველი ოჯახის მამისა,
გამოითხოვე უფალ იესოსაგან, რომელიც ხელით
ატარე და ასწავლე მას ლოცვა და შრომა, ვიცხო-
ვროთ მასთან მუდმივ კავშირში.

21 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2017 სამშაბათი

დან 3,25.34–43; ფს 24; მთ 18,21–35

სირცხვილს არ ჭამენ შენი მოიმედენი დან 3,40

ბავშვი სასოებით უწვდის მამას სათამაშოს, რომელიც, შესაძლოა რაიმე ურჩობის გამო, გაუტყდა. იმავე სასოებით ჩვენც შეგვიძლია გავუწოდოთ ცოდვისაგან დაზიანებული ჩვენი და მთელი სამყაროს ცხოვრება მამას: იგია ღმერთი, სიყვარულით ყოვლისმპყრობელი; იგი, იესოსა და მის ეკლესიაში ახლოა ჩვენთან, ხელშესახებად!

22 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2017 ოთხშაბათი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

ფუფაღი, ჩვენი ღმერთი ახლოა ჩვენთან ყოველთვის, როცა მოვუხმობთ მას რჯლ 4,7

დიახ, მამა, იესოსთან და წმიდა სულთან ერთად, მუდამ ახლოა ჩვენთან; წმ. პავლე მოქნილი გამოთქმით ამბობს, რომ *„მასში ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ“*. ეჭვგარეშეა, რომ როგორც დედა ხარობს, როცა ხელში აყვანილი ბავშვი უყურებს მას და ეფერება, ასევე მამა ზეციერიც ხარობს ყოველთვის, როცა მივმართავთ მას, თუნდაც მხოლოდ მის სახელზე სიყვარულით ფიქრითა და წარმოთქმით; მაშინ ის კიდევ უფრო გვიახლოვდება!

23

2017

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ეპ., +1606

(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი

ხუთშაბათი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

ვინც ჩემთან არაა, ჩემს წინააღმდეგაა ლკ 11,23

ჩვენ ქრისტიანები, ვისაც გვიყვარს იესო და ვეკუთვნით მას, დიდი მადლის მფლობელნი ვართ! არ გაგვიკვირდეს, თუკი სწორედ ამ მადლის გამო ხალხი ვერ გვიგებს, წინააღმდეგობასაც კი გვიწევს: სამწუხაროდ იესოს ჰყავს მტერი, რომელიც უფალთან ახლოს მყოფი ადამიანის მტერიცაა. ამ მტრის წინააღმდეგ არ არსებობს სხვა დაცვა, თუ არა იესოს ჩასჭიდო ხელი სიყვარულით, მორჩილებით, ლოცვით.

პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი მარ 12,31

ოცი წლის ასაკამდე არ მესმოდა მისიონერთა საქმიანობა: რა საჭიროა, ვეკითხებოდი საკუთარ თავს, წახვიდე და სიმშვიდე დაურღვიო იმ ხალხს, რომლებიც წყნარად ცხოვრობს, უპრობლემოდ, ამდენი ზნეობრივი ნორმების გარეშე...? მაგრამ იესომ თავისი უსაზღვრო გულმოწყალებით გამაცნო თავისი და მამის სიყვარული... მაშინ დავიწყე სიცოცხლე, მაშინ გამიჩნდა წყურვილი, და საამისოდ მზად ვიყავი თავად მეღვაწა, რომ ჩემს მოყვასს ამქვეყნადვე დაეგემოვნებინა უფლის სიყვარული, რაცაა ხსნა. დღესაც შევეცდები ჩემი მოყვასის შეყვარებას, შევეცდები მივაწოდო მას იესო!

25

2017

მარტი

უფლის ხარება, დდ, [ს] ,თ

შაბათი

ეს 7,10-14; 8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

აჰა, მოვდივარ შენი ნების აღსასრულებლად ებრ 10,9

ეს სიტყვა მარადისობიდან ჟღერს ძის გულში, მამისადმი რომაა მთლიანად მიპყრობილი. ამ სიტყვას დედა ჩვენი მარიამი ეუბნება ანგელოზს, უფლის ნება რომ აუწყა მას. ეს სიტყვა ესათნოება მამას თავისი შვილების ბაგეებზე და გულებში. შენი შემწეობით, მარიამ, ჩვენს ლოცვად ვაქცევთ მას: ხან სიხარულით ხმამაღლა გავიმეორებთ, ხანაც ჩურჩულით; განსაცდელშიც კი არავის დავანებებთ ჩვენი გულიდან მის წართმევას.

26 მარტი

დიდმარხვის IV კვირადღე, «ა», [IV], ვ

2017 ვეირა

1მეფ 16,1.4.6–7.10–13; ფს 22; ეფ 5,8–14; იო 9,1–41

თქვენც ხომ არ მოინდომეთ
მის მოწაფედ გახდომა? იო 9,27

ამ ირონიული კითხვიდან, იესოს მიერ განკურნებული ბრმა რომ უსვამს მის დასაკითხად შეკრებილ ფარისევლებს, გამოსჭვივის მისი თავისუფლება. იგი თავისუფალია მათი ეჭვებისა და ზეწოლის წინაშე, რადგან დარწმუნებულია, რომ იესო ღვთისაგანაა: თავად განიცადა ეს. ახლა მისი სიცოცხლე შეიცვალა, ხელახლა იშვა: ვერაფერი და ვერავინ ვეღარ დააშორებს მას თავისი უფლისაგან.

ორშაბათი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

ნიშნებისა და სასწაულების გარეშე არა გწამთ იო 4,48

იესო, მეფის მოხელესთან ერთად, რომელსაც განუკურნე შვილი და რომელსაც მიმართე ამ სიყვარულით სავსე შენიშვნით, მეც მადლობას გწირავ შენი სიმდაბლისა და დიდი გულმოწყალებისათვის. შენ ნიშანი მომეცი და მეც ახალი სიცოცხლე დავიწყე შენთან ცოცხალ კავშირში, შენს სიტყვაზე დაყრდნობით... დაე, შევძლო შენი ერთგული დავრჩე ბოლომდე, შენთან საბოლოო შეხვედრამდე, რომელიცა ხარ *„შემოქმედი და სრულმყოფელი რწმენისა“*, შენს გასაოცარ, თუმცა ზოგჯერ რთულ გზაზე სვლით! მადლობა, იესო!

28 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2017 სამშაბათი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

ვსურს განიკურნო? იო 5,6

მეც მეკითხები ამას, იესო! და მე გპასუხობ ჰოს: პირველ რიგში ჩემი სულია სნეული; შებორკილი და ნელია სიყვარულისთვის, ძმებისადმი მსახურებისთვის... მეც, ბეთესდას აუზის სნეულის მსგავსად არავინა მყავს დამხმარე! მადლობა, რომ ხარ, რომ არის შენი ეკლესია: მასში მღებულობ, მკურნავ და განმაახლებ, აღმიდგენ სიცოცხლისა და სიყვარულის სიხარულს!

29 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2017 ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

ფუფალი ანფეგეშენს თავის ერს ეს 49,13

ეს უმშვენიერესი დაპირება თავის აღსრულებას პოვებს იესოში! მართლაც, მამამ მოავლინა იგი, საყვარელი ძე, რათა წარგვიძღვეს, დაგვაპუროს, გვანუგეშოს... ჩვენზეა მხოლოდ მივიდეთ იესოსთან, მასთან გულის სიღრმეში ურთიერთობა ვეძიოთ, მისი სახარების მოსმენითა და ცხოვრებაში გატარების მცდელობით, ეკლესიის სიყვარულითა და მასში ბეჯითად სიარულით, რომელიცაა მისი სხეული და მისი სამწყსო, რომელშიც იგი მთლიანად იმყოფება.

ხუთშაბათი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

მალე გადადუხვიეს გზიდან, რომელიც მე ვამცნე მათ

გამ 32,8

რამდენჯერ მეც დამიმწუხრებია, მამაო, შენი გული! შენ იესოსა და შენი ეკლესიის მიერ მიმითითე სიწმიდის, მშვიდობის გზა შენდამი და შენი ნებისადმი მინდობით, ნებისადმი, რომელიცაა ნამდვილი სიყვარული ძმათა მსახურებაში, ღრმა სიხარული შენთან სიახლოვეში... მომიტევე ასევე ძმათა ლოცვის წყალობით და მომანიჭე ხელახლა დავიწყო!

31 მარტი

2017

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

პარასკევი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

ეს ის არაა, მოკვლას რომ ეძებენ? იო 7,25

იესო, შენი სიცოცხლე საფრთხეშია: შენი მტრები ცდილობენ ბოლო მოგიღონ. არადა შენ შენს მისიას განაგრძობ, კვლავაც გვაცნობ მამას: გაცნობა, რომელიც სიცოცხლესა და სიხარულს ანიჭებს ყოველ ადამიანს. შენი მაგალითით ნათელი და ძალა ხარ ჩემთვისაც: შევეცდები მუდამ ის ვაკეთო, რაც მამას გაუხარდება, და დავანებო, მან დაიცვას ჩემი სიცოცხლე!